EUMM

დამკვირვებელი

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდული გამოცემა · გამოცემა #1 • ივლისი 2016

ჩვენი დამკვირვებლები...

მისიის სახეა

როგორც სახელი მიგვანიშნებს, მისია სადამკვირვებლო მისიაა. ადგილზე დაკვირვება მისიის ყველაზე ხილვადი საქმიანობაა. დღე - ღამის განმავლობაში მისია აკვირდება საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ინციდენტებს, კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებს, აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციას და შემდეგ მიუკერძოებელ ანგარიშებს აგზავნის.

ადამიანის უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ჯგუფები აკვირდება ადამიანის უსაფრთხოების საკითხებს, როგორიცაა გადაადგილების თავისუფლება, განათლების უფლება, იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები და სხვა ყოველდღიური ადამიანთა უსაფრთხოების პრობლემები.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია უნიკალურია იმ მისიათა შორის, რომელიც საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში მოქმედებს, ჩვენ არ ვართ ე.წ. აღმასრულებელი მისია; ჩვენ არ ვთავაზობთ რჩევებს, სწავლებას ან ტრენინგს მასპინძელ ქვეყანას ან მის უსაფრთხოების ძალებს. ჩვენ უბრალოდ ვაწარმოებთ დაკვირვებას და საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ ანგარიშებს ვაბარებთ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, რაც საქართველოსთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავების საშუალებას აძლევს.

ჩვენ ვართ შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია, რომელიც საქართველოში 2008 წლის სექტემბერში მას შემდეგ გამოიგზავნა, რაც ევროკავშირის შუამავლობით აგვისტოს ომის დასასრულებ-ლად მიღებული იყო ექვსპუნქტიანი შეთანხმება (ცეცხლის შეწყვეტის) შესახებ. ამჟამად ეს მისია მსოფლიოში ერთადერთი სპეციფიური ევროკავშირის სადამკვირვებ-ლო მისიაა.

ჩვენი დამკვირვებლები მისიის სახეა. დამკვირვებლების ადგილზე ყოფნა და სწრაფი რეაგირება, კერძოდ, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის თვითაღიარებული რეგიონების ადმინისტრაციულ საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე, ხელს უწყობს უსაფრთხოებას ადგილზე და გრძელვადიან სტაბილიზაციას რეგიონში.

მიუკერძოებელი და ობიექტური დაკვირვება

მისია მიუკერძოებელი და ობიექტურია. მანდატის მიხედვით, ჩვენი დამკვირვებლები საქართველოს მთელს ტერიტორიას ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში მოიცავენ, მაგრამ რამდენიმე ერთობლივი ვიზიტის გარდა, რომელიც კონკრეტულ შემთხვევებთან იყო დაკავშირებული, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებები მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მისიის შესვლის შესაძლებლობის უზრუნველყოფაზე აქამდე უარს ამბობს.

შესაბამისად, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას ეკრძალება თავისი საქმიანობის განხორციელება ამ ტერიტორიებზე და ექვსპუნქტიან შეთანხმებასთან რუსეთის ფედერაციის, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის შესაბამისობაში ყოფნის უზრუნველყოფა.

ამის ნაცვლად, ჩვენი დამკვირვებლები პატრულირებას 'თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე' აწარმოებენ. აქ ისინი აკვირდებიან სტაბილურობაზე ზეგავლენ ცვლილებებს, როგორიცაა გადაადგილების თავისუფლება, ჯარების დისლოკაციის შეცვლა და ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები. მიზანს საომარი მოქმედებების დაბრუნების თავიდან აცილება წარმოადგენს.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ინფორმირება

მისიის თანამშრომლები ასევე აკვირდებიან, თუ როგორ მიმდინარეობს ნორმალიზაციის პროცესი ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ, რაც მიზნად ისახავს ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეზე მცხოვრები მოსახლეობისთვის უსაფრთხო და ნორმალური ცხოვრების დაბრუნების ხელშეწყობას. საბოლოოდ, დამკვირვებლებს - ხშირ შემთხვევაში მათი სრული წარმომადგენლობით - წვლილი შეაქვთ დაძაბულობის შემცირებაში მხარეებს შორის კონტაქტების ხელშეწყობის მეშვეობით, კავშირების დამყარებისა და სხვა ნდობის აღმდგენი ღონისძიებების საშუალებით.

თითოეული პატრულირების ჩატარების შემდეგ ჯგუფის მეთაური ამზადებს ანგარიშს, რომელსაც თან ერთვის პატრულირების დასკვნების ამსახველი ფოტოები. ანგარიშები მუშავდება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ანალიტიკური განყოფილების მიერ, სანამ ევროკავშირის სათავო ოფისში ბრიუსელში გადაიგზავნება ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროებში შემდგომი გავრცელებისთვის.

ყოველი პატრულირების შედეგად მიღებული მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაციის მოწოდებისა და გადაცემის საშუალებით მისიის დამკვირვებლები საბოლოო ჯამში ხელს უწყობენ ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ფორმირებას.

რა არის ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა?

საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა საშუალებას აძლევს ევროკავშირს სამშვიდობო ოპერაციებში, კონფლიქტების პრევენციასა და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში წამყვანი როლი ითამაშოს. ეს არის სამოქალაქო და სამხედრო აქტივებზე დამყარებული კრიზისის მართვასთან დაკავშირებული ევროკავშირის ყოვლისმომცველი მიდგომის განუყოფელი ნაწილი. 2003 წლიდან ევროკავშირმა 30-მდე სამშვიდობო მისია გახსნა და ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ სტაბილიზაციისა და უსაფრთხოების ხელშემწყობი ოპერაციები წამოიწყო.

პროფესიონალიზმი და გამოცდილებას

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებს ფართო სპექტრის კვალიფიკაცია და გამოცდილება გააჩნიათ. ძირითადად, ეს სამოქალაქო, სამხედრო, ან საპოლიციო გამოცდილებაა.

მას შემდეგ, რაც მისიამ ოპერირება 2008 წელს დაიწყო, მისიაში მუშაობდა დამკვირვებლები ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნიდან.

ჩვენი მიზანია, ყველა ასაკის დამკვირვებლების აყვანა. ძირითადად სადამკვირვებლო საქმიანობით დაკავებული მისიის თანამშრომლების საშუალო ასაკი 38 წელს შეადგენს. ყოველი მეოთხე - ქალია. 2011 წლის შემდეგ ეს თანაფარდობა თითქმის უცვლელი დარჩა მიუხედავად იმისა, რომ მისია დადებითად აფასებს და ხელს უწყობს წევრი სახელმწიფოების მიერ გამოსაგზავნი დამკვირვებლების შორის ქალთა რაოდენობის გაზრდას გენდერული ბალანსის გასაუმჯობესებლად.
მისიის ყველა წევრი დამკვირვებელია.

ოთხიდან ერთი დამკვირვებელი ქალია



უმრავლესობა სადამკვირვებლო საქმიანობას დღის განმავლობაში ოთხ ცვლად ეწევა, რომ სადღეღამისო დაკვირვება მთელი კვირის განმავლობაში გრძელდებოდეს. სხვები სადამკვირვებლო საქმიანობასთან ერთად ნაწილობრივ ადმინისტრაციულ და ლოჯისტიკურ სამუშაოებს ასრულებენ.

2016 წლის 10 ივლისის მონაცემებით დამკვირვებელთა საერთო რაოდენობა 205-ს შეადგენს.

მისიაში წარმოდგენილი ევროკავშირის წევრი ქვეყნები

რუმინეთი	25
შვედეთი	21
პოლონეთი	20
ჩეხეთის რესპუბლიკა	15
დიდი ბრიტანეთი	14
ფინეთი	13
უნგრეთი	13
გერმანია	11
ბულგარეთი	10
საბერძნეთი	10
დანია	9
ნიდერლანდები	8
ავსტრია	7
ბელგია	4
ლატვია	4
ლიტვა	4
ხორვატია	3
ესტონეთი	3
ირლანდია	3
იტალია	3
სლოვაკეთი	3
ესპანეთი	2
დამკვირვებელთა საერთო რაოდენობა	205

რედაქციისგან

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აკვირდება საქართველოში არსებულ სიტუაციას და წარუდგენს ანგარიშებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ბრიუსელში განლაგებული სამოქალაქო დაგეგმვისა და მართვის განყოფილების (CPCC) საშუალებით.

ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ გარდა ჩვენი ვებ-გვერდის და ფეისბუქის გვერდისა გამოგვეშვა პერიოდული გამოცემების სერია, საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის უკეთესად რომ გაგვეცნო ის საქმიანობა, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ.

ეს გამოცემა ეხება ჩვენი დამკვირვებლების როლს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობაში. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ყველა წევრი დამკვირვებელია; ამასთანავე ჩვენი თანამშრომლების განსაზღვრული ნაწილის საქმიანობას უშუალოდ დაკვირვება წარმოადგენს და ეს გამოცემა მათ შესახებ არის.

მისიის ხელმძღვანელისგან

ჩვენ ვართ...

ერთი მისია, ერთი გუნდი!

საქართველო ევროკავშირისთვის პრიორიტეტული ქვეყანაა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას დიდი ხნის განმავლობაში წვლილი შეაქვს საქართველოში მშვიდობისა და უსაფრთხოების საქმეში.

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში 300-ზე მეტი თანამშრომელი მუშაობს. დაახლოებით ორი მესამედი ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდანაა და დაახლოებით ერთი მესამედი საართველოს მოქალაქეა.

ჩვენ ერთ გუნდად ვმუშაობთ და ვმსახურობთ. ყოველი მისიის წევრის ეროვნების, სამუშაოს ტიპის ან სამუშაოს ადგილმდებარეობის განურჩევლად, ჩვენ აქ ერთი მიზნისთვის ვართ. ჩვენი მისიაა, ჩვენი დაკვირვების მეშვეობით ვუზრუნველყოთ გრძელვადიანი სტაბილურობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; ხელი შევუწყოთ ცხოვრების ნორმალიზაციას ადმინისტრაციული საზღვრების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობისთვის და ვიმუშაოთ დაძაბულობის შესამცირებლად მხარეებს შორის ნდობის აღდგენის საშუალებით.

ჩვენი დამკვირვებლები გრძნობენ გულითად დამოკიდებულებას და კეთილ განწყობას იმ ხალხისგან, ვინც პატრულირებისას ხვდება და ჩვენ ხშირად გვესმის სხვადასხვა ადამიანებისგან, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პატრულირებისას თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ.

მადლობელნი ვართ ჩვენი მისიისადმი და მისი წევრებისადმი გამოხატული ქართული სტუმართმოყვარეობისთვის და მზად ვართ ჩვენი ძალისხმევის გასაგრძელებლად: ვმუშაობთ უსაფრთხოებისა და ნდობის აღდგენისთვის!

კიასტუტის იანკაუსკასი
საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი

პატრულირება 24/7, წელიწადში 365

პატრულირება მისიის ძირითადი საქმიანობაა. მისიის საპატრულო ჯგუფები აგროვებს ინფორმაციას, რომელიც საშუალებას აძლევს მისიას შეასრულოს სტაბილიზაციასთან, ნორმალიზაციასთან და ნდობის აღდგენასთან დაკავშირებული ამოცანები.

ჩვენ პატრულირებას სადღეღამისოდ, წელიწადში 365 დღის განმავლობაში ვაწარმოებთ მისიის ადვილად ცნობადი ლურჯი და თეთრი მანქანებით ან ფეხით, ძნელად გასავლელ რელიეფზე. ზოგჯერ მისია ატარებს ხანგრძლივ პატრულირებას შორეულ რეგიონებში, სადაც დამკვირვებლები ადგილზე რამდენიმე ღამით, ხშირად კარვებში რჩებიან.

ჩვენ პატრულირებას მისიის საოპერაციო მოთხოვნების შესაბამისად ვახორციელებთ. თითოეულ ჯგუფის შემადგენლობა მისი კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, წევრების საექსპერტო ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით ირჩევა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ჯგუფების უმრავლესობაში ასევე შედიან თარჯიმანი, რომელიც ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს ფლობს და ექიმი.

მას შემდეგ, რაც მისიამ 2008 წლის შემოდგომაზე თავისი საქმიანობა დაიწყო, ჩატარდა 45,000-ზე მეტი პატრულირება, საშუალოდ დღეში 16 პატრულირებაზე მეტი.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პატრულირების სამი ტიპი:
ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ატარებს სამი სხვადასხვა ტიპის პატრულირებას თითოეულ რეგიონალურ ოფისში ზუგდიდსა, გორსა და მცხეთაში:

ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე მომუშავე ჯგუფები
- აკვირდება ადმინისტრაციულ საზღვრებს და მათ მიმდებარე ტერიტორიებს
- აკვირდება გადაადგილების თავისუფლებას ადმინისტრაციულ საზღვრების გასწვრივ და მათ ორივე მხარეზე
- კავშირს ამყარებს ადგილობრივ დონეზე მოღვაწე უსაფრთხოების სფეროში მომუშავე უწყებებთან
- ეხმარება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესაბამისობის ჯგუფებს, რომელიც აკვირდება საქართველოს უსაფრთხოების სფეროში მომუშავე უწყებებთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმების შესრულებას.

ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფები
- კავშირს ამყარებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებასთან
- აკვირდება ადამიანის უფლებათა მდგომარეობას, მათ შორის გადაადგილების თავისუფლებას
- მასპინძლობს საინფორმაციო შეხვედრებს სამოქალაქო საზოგადოებასთან
- აკვირდება იძულებით გადაადგილებულ პირებთან (დევნილებთან) და მათ დასახლებებთან დაკავშირებულ.

შესაბამისობის ჯგუფები
- აკვირდება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან

მას შემდეგ, რაც მისიამ 2008 წლის შემოდგომაზე თავისი საქმიანობა დაიწყო, ჩატარდა 45,000-ზე მეტი პატრულირება, საშუალოდ დღეში 16 პატრულირებაზე მეტი.

გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმების შესრულებას
- შედის საქართველოს უსაფრთხოების სფეროში მოქმედი უწყებების (პოლიცია, სამხედრო) ბაზებსა და ობიექტებზე
- აკვირდება მნიშვნელოვან სამხედრო წვრთნებს
- აფასებს უსაფრთხოების სფეროში მოქმედი უწყებების დანაყოფების შესაძლებლობებსა და განზრახვებს.

ჩვენ დაკვირვებაზე ვკონცენტრირდებით
ჰუმანიტარული დახმარების გაწევა და ფინანსური მხარდაჭერა მისიის მანდატში არ შედის და მისიას არ გააჩნია საბიუჯეტო სახსრები ასეთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, ჩვენი დამკვირვებლები ვერ შესთავაზებენ დახმარებას ან ფინანსური მხარდაჭერას კერძო პირებს ან თემებს.

თუმცა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აწყობს რეგულარულ საინფორმაციო შეხვედრებს, რომელსაც ბევრი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაცია ესწრება; ეს ხშირად იწვევს სამუშაოების წამოწყებას, რომელიც სასარგებლოა ადგილობრივი თემებისთვის.

რა არის ექვს-პუნქტიანი შეთანხმება?

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია 2008 წლის სექტემბერში გამოიგზავნა, მას შემდეგ, რაც ევროკავშირის შუამავლობით ხელი მოეწერა ექვს-პუნქტიან შეთანხმებას, რომელმაც აგვისტოს ომი დაასრულა. შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტას ეხება და მხარეებმა შემდეგი პრინციპები გაიზიარეს:

1. ძალის გამოყენებაზე უარის თქმა;
2. საბრძოლო ქმედებებზე საბოლოო უარის თქმა;
3. ჰუმანიტარული დახმარებისთვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა;
4. საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ მათი ჩვეულებრივი დისლოკაციის ადგილებში;
5. რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე. საერთაშორისო მექანიზმის შექმნამდე, რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დამატებით ზომებს;
6. საერთაშორისო დისკუსიების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესახებ.

დამკვირვებელთა აღჭურვილობა და მოწყობილობები

პროფესიონალური დაკვირვება მართებულ აღჭურვილობას მოითხოვს. პატრულირების ტიპიდან გამომდინარე, არსებობს სხვადასხვა საჭიროებები, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ჩვენი ჯგუფები შემდეგი აღჭურვილობიდან ზოგიერთს იყენებს:

4x4 ოფროუდ ავტომანქანები, სიტუაციიდან გამომდინარე, პატრულირებისთვის განკუთვნილი მსუბუქი საპატრულო ავტომანქანები შეიცვლება დაჯავშნული ავტომანქანებით. პატრულირებისთვის განკუთვნილ ჩვენს ავტომანქანებს ყოველთვის აქვს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ემბლემა. პატრულირების დროს თითოეულ ავტომანქანაზე ფრიალებს ევროკავშირის დროშა. ღამით დროშა განათებულია. თითოეული ავტომანქანას გააჩნია საკუთარი შესაკეთი ხელსაწყოების ნაკრები.

ლურჯი ჟილეტები ევროკავშირის მისიის ემბლემით. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენი დამკვირვებლები ასევე ლურჯ კეპებს ან ბერეტებს ატარებენ. სამედიცინო პერსონალს შინდისფერი ჟილეტები აცვია.

ღამის ხედვა და თერმული გამოსახულების ოპტიკა გამოიყენება სიბნელეში პატრულირების ას - ღამით ან ზამთარში.

უმაღლესი ხარისხის ტელეობიექტივები ცვლადი საფოკუსე მანძილით შესანიშნავი შესაძლებლობით გაამლიეროს შორ მანძილზე მდებარე ობიექტების დანახვა.
უმაღლესი ხარისხის ციფრული კამერები გამოიყენება პატრულირებისას შეიმჩნეული ინციდენტებისა და ცვლილებების გადასაღებად. ყველა ფოტო რეგისტრირებულია და ინახება ფაქტებისა და დასკვნების დოკუმენტური ასახვისთვის.

ხელის კოორდინატთა დადგენის გლობალური სისტემის (GPS) ნავიგატორები გამოიყენება, რათა უზრუნველყოს ზუსტი ნავიგაცია და პატრულირების მეთაურს აჩვენოს პატრულირების ზუსტი ადგილმდებარეობა.

ძლიერი ბინოკლი არის დაკვირვებისთვის ყველაზე ფართოდ გამოყენებული ინსტრუმენტი. მისია უმაღლესი ხარისხის სხვადასხვა ბინოკლებს იყენებს. ზოგიერთ ბინოკლებში ჩაშენებულია ლაზერული მანძილსაზომი.

კომპასები და რუკები მოძველებულად ჟღერს, მაგრამ ჩვენმა დამკვირვებლებმა კარგად იციან რუკების წაკითხვა და შეუძლიათ ნავიგაცია ნებისმიერ რელიეფზე საბაზო ინსტრუმენტების გამოყენებით.

შორი მოქმედების ლაზერული მანძილსაზომები გამოიყენება ნებისმიერ ობიექტამდე ზუსტი მანძილის გასაზომად. მანძილსაზომების უახლესი მოდელები ძლიერი გამადიდებელი მონაკულარით გამოდის.



დამკვირვებელთა აღჭურვილობა და მოწყობილობები

სამედიცინო პირველადი დახმარების კომპლექტები, საკაცეები და ტაქტიკური პირველადი დახმარების კომპლექტები არის სტანდარტული აღჭურვილობა თითოეული პატრულირებისას.



პირადი დაცვის აღჭურვილობა. მისია შეუიარაღებელია, მაგრამ ყველა დამკვირვებელს აქვს ჯავშანჟილეტი და ჩაფხუტი პირადი დაცვისთვის.

კალმები და ბლოკნოტები ასევე მოძველებულად ჟღერს, მაგრამ მათი ქონა აუცილებელია ინფორმაციის ჩასანიშნად, შემდგომი ანგარიშების დასაწერად. ასევე გამოიყენება ციფრული აუდიო ჩამწერები.

ხელის რაციები, სმარტფონებთან ერთად დამკვირვებლებს კომუნიკაციის საშუალებას აძლევს.

გაიცანით ჩვენი დამკვირვებლები

სახელი:	იენი ოლსენი
გამოცდილება:	პოლიციის ოფიცერი
ქვეყანა:	დანია
მისიის წევრია:	2015 წლის ნოემბერიდან
მუშაობის ადგილი:	გორის ოფისი
პატრულირება:	ადმინისტრაციული საზღვარი

"დანიის პოლიციაში მიღებული დეტექტივი ინსპექტორის გამოცდილება ძალიან გამომადგა გორის რეგიონალური ოფისის ადმინისტრაციულ საზღვარზე მომუშავე პატრულირების ჯგუფის მეთაურის ფუნქციის შესრულებაში.

ჩვენი მთავარი მოვალეობაა ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ და მის მახლობლად პატრულირება. ჩვენი პატრულირება მთელი წლის განმავლობაში სადღეღამისოა, ვაკვირდებით და ანგარიშებს შემდეგ საკითხებზე ვადგენთ: უსაფრთხოების სფეროში მოქმედი უწყებების წარმომადგენლობები (გამშვები პუნქტები, საგუშაგოები, ნაგებობები), ბორდერიზაცია (ღობეები, ბანერები და თხრილები) და ადგილობრივ მოსახლეობაზე მათი ზეგავლენა. ამით ჩვენ ხელს ვუწყობთ ვითარების სტაბილიზაციას და მოსახლეობის ცხოვრების ნორმალიზაციას.

ასობით საპოლიციო ინტერვიუს ჩატარების გამოცდილება მიადვილებს ურთიერთობას ადგილობრივ მაცხოვრებლებთან, რომელთაც ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ სოფლებში პატრულირებისას ვხვდებით. მე ვაფასებ ახლო კონტაქტს ამ ხალხთან და ყველა ასაკის ადამიანთან ურთიერთობის შესაძლებლობას. კერძოდ, ადგილობრივი ქალები უფრო თავდაჯერებულნი არიან ქალებთან საუბრისას.

წარმატებული პატრულირება ასევე ძლიერ გუნდურ მუშაობაზეა დამოკიდებული. მე განსაკუთრებულად მომწონს ჩვენს ჯგუფში ადგილობრივი და ევროპელი კოლეგების თანამშრომლობა. შესანიშნავი სამუშაო კლიმატი ყველასთვის კარგი მოტივირების მომცემია.

მისიის მიუკერძოებლობა მისი რეპუტაციისა და სანდოობის საკვანძო ელემენტია. როგორც პატრულირების მეთაური, პასუხისმგებელი ვარ მოვამზადო ანგარიშები თითოეული პატრულირების შემდეგ. ამ კუთხითაც მადგება ჩემი პოლიციაში მუშაობის გამოცდილება. ობიექტურობა აუცილებელია პოლიციაში ანგარიშის დაწერისას და ეს აისახება აქ ჩემს მიერ დაწერილ ყოველ პატრულირების ანგარიშში.“

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ამჟამად ევროკავშირის ერთადერთი მოქმედი მისიაა, რომელიც სპეციფიურად დაკვირვებაზეა მიმართული. მისი მერვე მანდატის გაგრძელების შემდეგ ევროპის საბჭო და ევროკავშირი შეთანხმდნენ, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია უნდა გაგრძელდეს 2016 წლის 14 დეკემბრამდე. 2015 წლის იანვრიდან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი არის კისტუტის იანკაუსკასი (ლიტვა). ადრე ამ თანამდებობაზე მოღვაწეობდნენ ტოივო კლაარი (ესტონეთი), ანდჟეი ტიშკევიჩი (პოლონეთი), და ჰანსიორგ ჰაბერი (გერმანია).

ამ პერიოდულ გამოცემას საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია გამოსცემს
- კონტაქტი: press@eumm.eu
- ჯონ დურნინი, პრესსპიკერი: john.durnin@eumm.eu
- ჰასსე რესენბრო, პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენელი: hasse.resenbro@eumm.eu

იხილეთ: http://www.eumm.eu & www.facebook.com/eumm.geo

გაიცანით ჩვენი დამკვირვებლები

სახელი:	კრის ტეილორი
გამოცდილება:	სამოქალაქო
ქვეყანა::	დიდი ბრიტანეთი
მისიის წევრი:	2013 წლის აპრილიდან
სამუშაო ადგილი:	ზუგდიდის ოფისი
პატრულირება:	ადამიანის საფრთხოება

"წლების განმავლობაში დემოკრატიული გარდაქმნის, პროფესიული გადამზადებისა და განათლების, ისევე როგორც პოლიტიკური ანალიზის სფეროებში მუშაობის შემდეგ, მისიაში ჩემი საქმიანობის მიმართულება და მრავალფეროვნება საინტერესოდ და მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

როგორც ზუგდიდის რეგიონალური ოფისის ადამიანის უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ჯგუფის მეთაური, ვგეგმავ ჩვენი ჯგუფის მუშაობას, რათა ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, დაწესებულებებთან და კერძო პირებთან უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.

თითოეული ჯგუფი აკვირდება ადამიანის უსაფრთხოების საკითხებს და ასევე კონკრეტულ საკითხებს, როგორიცაა გადაადგილების თავისუფლება, განათლების უფლება სკოლის მოსწავლეებისთვის, იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები და სხვა ყოველდღიური ადამიანთა უსაფრთხოების პრობლემები მთელს დასავლეთ საქართველოში.

დაკვირვებისა და ანგარიშგების გარდა ჩვენი მუშაობით ჩართულები ვართ და ხელს ვუწყობთ ნდობის აღდგენას, ვაკავშირებთ ხალხს ისეთ ორგანიზაციებთან, რომელიც დაეხმარება მათი უფლებების დაცვაში და საზოგადოებას ვაწვდით ინფორმაციას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობის შესახებ.

ადამიანის უსაფრთხოების ჯგუფის პატრულირების სპექტრი მრავალფეროვანია და ასევე მოიცავს შეხვედრებს სამოქალაქო საზოგადოებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან; ამასთან ერთადჩვენ ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეზე არსებულ სენსიტიურ საკითხებზე სამუშაოდ საინფორმაციო შეხვედრებს ვმასპინძლობთ. ყოველ კვირას ახალი გამოწვევები მოაქვს; ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე კარგი კომუნიკაციის შენარჩუნება მნიშვნელოვანია ჩვენი სადამკვირვებლო ჯგუფის წარმატებისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის განხორციელებისთვის".

სახელი:	პანაგიოტის მამოლისი
გამოცდილება:	უფროსი სამხედრო ოფიცერი (გადამდგარი)
ქვეყანა:	საბერძნეთი
მისიის წევრი:	2015 წლის თებერვლიდან
სამუშაო ადგილი:	მცხეთის ოფისი
პატრულირება:	შესაბამისობა

"როგორც მცხეთის რეგიონალურ ოფისის შესაბამისობის ჯგუფის მეთაურს, მევალება შესაბამისობის პატრულირების დაგეგმვა და ჩატარება. ჯგუფები აკვირდებიან და მიდიან საქართველოს უსაფრთხოების სფეროში მოქმედ უწყებებთან, რომ შეამოწმონ საქართველოს მხარის შესაბამისობა ექვსპუნქტიანი შეთანხმების ("ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების") პრინციპებთან. ამას ვაკეთებთ მუდმივად სტაბილური ვითარების შესანარჩუნებლად, საომარი მოქმედებების დაბრუნების თავიდან ასაცილებლად.

ჩემი, როგორც სამხედრო მოსამსახურის გამოცდილებით, მომწონს საქართველოს უსაფრთხოების სფეროში მოქმედ უწყებებთან თანამშრომლობა. ასევე მომწონს შესაბამისობის სფეროში მუშაობა, რადგან ეს ეფექტიანად უწყობს ხელს საქართველოში გრძელვადიანი სტაბილურობის შენარჩუნებას, რაც ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. საბედნიეროდ, ჩემი სამუშაო, ასევე მაძლევს სრულყოფილ საშუალებას შევინარჩუნო ჩემი პროფესიული ცოდნა და შევიძინო მეტი საექსპერტო ცოდნა მომავლისთვის.

ჩვენს შესაბამისობის ჯგუფის პატრულირებას აქვს ორი ამოცანა:

- <u>დააკვირდნენ</u> საქართველოს უსაფრთხოების სფეროში მოქმედი უწყებების კოლონებს, გადაადგილებებს, დისლოკაციის ადგილების შეცვლას, ტრენინგებს, წვრთნებს და საქმიანობას, როდესაც და სადაც ზემოაღნიშნულს ღია ცის ქვეშ ექნება ადგილი.
- <u>შევიდნენ</u> საქართველოს უსაფრთხოების სფეროში მოქმედი უწყებების დანაყოფებში, ბაზებზე, ყაზარმებში და ობიექტებზე - ასეულიდან გენერალური შტაბის დეპარტამენტის დონემდე.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია შეუთანხმდა საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ამ ვიზიტების პრაქტიკულ განხორციელებაზე. ეს შეთანხმებები განსაზღვრავს, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ყოველთვის აგზავნის შეტყობინებას ნებისმიერ ვიზიტამდე 24 საათით ადრე. ჩვეულებრივ, ვიზიტები დანაყოფებში ყოველ სამ თვეში ერთხელ ხდება."